ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №69/გ

ქ. მცხეთა 17 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „მთაწმინდის მთვარე“, წარმოდგენილი დირექტორის არჩილ აბესაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2016 წლის 18-19 ივნისს ვანის რაიონ სოფ. ჭყვიშში გალაქტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეთა დაბინავებასთან დაკავშირებული მომსახურა.(CPV98341000).

2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2016 წლის 18-19 ივნისის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების ღირებულებაა 600 (ექვსასი) ლარი.

3. მხარეთა უფლება – მოვალეობები

31 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
3.1.1 უზრუნველყოს მომსახურების შესრულება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
3.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
3.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

4.1 თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
42 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
4.3 მომსახურეობის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს მომსახურეობის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურეობის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს – მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
8.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
9..3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

10.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მთ. სპეციალისტი ნინო მანიაშვილი.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. ანგარიშსწორების პირობები

12.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაწეული მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა..

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"	„შემსყიდველი"
სს „ა(ა)იპ მთაწმინდის მთვარე"	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
საიდენტიფიკაციო №416288733	ს/კოდი: 236098824
სს „საქართველოს ბანკი"	ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
BAGAGE22	ბ.კ TRESGE22
ა/ა **GE**72BG0000000924015500	ა/N GE24NB0330100200165022
მის: რუსთავი, მე-19მ/რ; კორპ 7,ბ 88	მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7
დირექტორი	მუნიციპალიტეტის გამგებელი
ა. აბესაძე	ზ. აბესაძე